აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საინჟინრო–ტექნოლოგიური ფაკულტეტი

საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

თანამედროვე მეცნიერება და ინოვაციური პრაქტიკა

პატივცემულო კოლეგებო!

2018 წლის 16 ნოემბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდება საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე:

„თანამედროვე მეცნიერება და ინოვაციური პრაქტიკა“

რომელიც ეძღვნება

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 85 წლისა და საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დაარსების 50 წლის იუბილეს

<u>კონფერენციის სამეცნიერო მიმართულებებია:</u>

1. თანამედროვე ტექნოლოგიები, ტექნიკა, მასალები და ინოვაციური პრაქტიკა;
2. მატერიალური კულტურა, ხელოვნება და დიზაინი;
3. სასურსათო ტექნოლოგიები და სურსათის უვნებლობა;
4. ინოვაციები ქიმიურ და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში;
5. ინოვაციები ეკონომიკასა და ბიზნესში;
6. სწავლების ინოვაციური მეთოდები.

კონფერენციის ჩატარების ადგილი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59.

კონფერენციის ჩატარების დრო - 2018 წელი, 16 ნოემბერი.

კონფერენციის სამუშაო ენა - ქართული, ინგლისური, რუსული.

კონფერენციაში მონაწილეობისათვის საჭიროა 2018 წლის 25 ოქტომბრამდე გაიაროთ რეგისტრაცია შემდეგ მისამართზე: https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSd4KI3a8WLSyHjhhb-yK6aHaVXJwkby0JAYgUEFkfHqnTq74A/viewform?usp=pp_url.

<u>ყურადღება!</u> სტატიისა და სარეგისტრაციო ბარათის ელექტრონული ვერსია იგზავნება წინასწარ, ელექტრონული ფოსტით. ერთი კვირის განმავლობაში ავტორი ღებულობს დასტურს სტატიის მიღების შესახებ, რის შემდეგაც ავტორი აგზავნის საორგანიზაციო შენატანის ქვითრის ასლს (pdf-ფორმატში). ორივე ფაილს (სტატიას და ქვითარის ასლს) უნდა ერქვას პირველი ავტორის გვარი და სექციის ნომერი (მაგ. abesadze_5).

საკონტაქტო პირები:

მაია გრძელიძე - აწსუ, საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი.
577-31-59-01, E-mail: maia.grdzelidze@atsu.edu.ge

ნანა თხელიძე - აწსუ, „დიზაინისა და ტექნოლოგიის“ დეპარტამენტის ხელმძღვანელი.
577-31-59-45, E-mail: nana.tkhelidze@atsu.edu.ge

ნატო ფაილოძე - კონფერენციის სწავლული მდივანი.
577-62-53-71; 591-91-41-19. E-mail:nato.failodze@mai.ru, nato.Pailodze@atsu.edu.ge

საორგანიზაციო შენატანი - 40 ლარი (უცხოელი ავტორებისათვის 30 ევრო).
საორგანიზაციო შენატანი ფარავს შემდეგ ხარჯებს:

- ტექნიკური საშუალებების გამოყენება;
- მოხსენებათა კრებული (ერთ სტატიაზე 1 ცალი);
- საორგანიზაციო კომიტეტის მუშაობა.

საორგანიზაციო შენატანი არ ითვალისწინებს ბანკეტის ხარჯებს. ბანკეტში მონაწილეობის მსურველთა ჩაწერა და შესაბამისი თანხის გადახდა (35 ლარი) იწარმოებს კონფერენციის გახსნის დღეს ადგილზე რეგისტრაციის დროს.

საბანკო რეკვიზიტები

საორგანიზაციო შენატანი უნდა გადაირიცხოს შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში;
ბანკის კოდი - TRESGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - **7 0905 7267**
ორგანიზაციული კოდი - **32 04 05 06 01**
გადახდის ქვითარში აუცილებელია მიეთითოს – "***საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის კონფერენციისათვის" და პირველი ავტორის გვარი.***

მოთხოვნები სტატიის გაფორმებისათვის

- სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს A4 ფორმატზე ტექსტურ რედაქტორ Word-ში;
- სტატიის ფაილს უნდა ერქვას პირველი ავტორის გვარი აუცილებელია სექციის ნომერის მითითება (მაგ. abesadze_5).
- არეები: ზედა – 20 მმ; მარცხენა – 30 მმ; მარჯვენა -20 მმ; ქვედა - 20მმ.
- გამოყენებული შრიფტი: ქართული სტატიისათვის **sylfaen**. რუსული და ინგლისური სტატიებისთვის **Times New Roman**. სტრიქონთაშორისი ინტერვალი-1,5;
- სტატიაში ფორმულები აკრებილი უნდა იყოს ფორმულების რედაქტორ Equation-ში;
- ნახაზები და საილუსტრაციო მასალები ტექსტში ჩასმულიუნდა იყოს JPEG ან BMP ფორმატით;
- პირველ სტრიქონზე უნდა დაიბეჭდოს სტატიის სათაური (14 Pt, Bold);
- სტრიქონის გამოტოვებით - ავტორ(ებ)ის გვარი და ინიციალები (13 Pt, Bold) ;
- მომდევნო სტრიქონზე ორგანიზაციის სრული დასახელება (12 Pt, Bold, სტატიაში სხვადასხვა ორგანიზაციების მონაწილეობის შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნას აღნიშვნა*);
- სტრიქონის გამოტოვებით - სტატიის მოკლე ანოტაცია (10 Pt, დახრილი შრიფტით, არაუმეტეს 500 სიმბოლოსი);
- სტრიქონის გამოტოვებით სტატიის შინაარსი (12 Pt);
- ორი სტრიქონის გამოტოვებით - გამოყენებული ლიტერატურა* (10 Pt);
- ორი სტრიქონის გამოტოვებით - რეზიუმე ინგლისურ ენაზე (10 Pt, არაუმეტეს 1000 სიმბოლოსი);
- სტატიის მოცულობა 3-5 გვერდი;
- ერთი ავტორის მიერ წარმოდგენილი სტატიების რაოდენობა არა უმეტეს 2-სა;

* ლიტერატურის გაფორმება: წიგნების ან მონოგრაფიების გაფორმებისას უნდა მიეთითოს: ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები; წიგნის ან მონოგრაფიის დასახელება; გამოცემის ადგილი; გამომცემლობის დასახელება; გამოცემის წელი, გვერდების რაოდენობა. სამეცნიერო ნაშრომის გაფორმებისას უნდა მიეთითოს: ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები; ნაშრომის დასახელება; ორი დახრილი ხაზი; ჟურნალის (კონფერენციის, კონგრესის და ა.შ.) დასახელება; პუბლიკაციის ადგილი; გამოცემის წელი; ჟურნალის (ტომის) ნომერი, გვერდები.

მოთხოვნების დარღვევით გაფორმებული, კონფერენციის თემატიკის შეუსაბამო ან სორგანიზაციო შენატანის ქვითრის გარეშე წარმოდგენილი სტატიები პუბლიკაციისათვის არ განიხილება.

კონფერენციის შესახებ სრული ინფორმაცია განთავსებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე **www.atsu.edu.ge**